საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 3 21 0000089710

10/02/2021

ფაქტ-მეტრის რედაქტორს,
ბატონ მალხაზ რეხვიაშვილს
ელ.ფოსტა:nanovero71@gmail.com

ბატონო მალხაზ,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის N35027; 27.01.21) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინიტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ საქართველოში საჯარო სკოლებში 2020 წლის ბოლოსთვის დასაქმებული იქნა 51 921 პედაგოგი. მათ შორის:

- პრაქტიკოსი მასწავლებელი - 8 217;
- უფროსი მასწავლებელი - 31 783;
- წამყვანი მასწავლებელი - 7 575;
- მენტორი მასწავლებელი - 264;

ამასთან, 2012 წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასი შეადგენდა 245 ლარს, 2013 წელს - 305 ლარს, ხოლო დღეის მდგომარეობით მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 405 ლარია, ამრიგად, ხელფასების ზრდა ყველა კატეგორიის მასწავლებელს შეეხო.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ ბრძანებაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N03/ნ ბრძანებით განხორციელდა ცვლილებები და სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მასწავლებლების დანამატის სრული ოდენობა 1 იანვრიდან გაიზარდა 100 ლარით. მათ შორის უფროსი მასწავლებლისათვის განისაზღვრა 570 ლარის ოდენობით, წამყვანი მასწავლებლისათვის - 950 ლარით, ხოლო მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლისათვის - 1 250 ლარით.

აქვე გაცნობებთ, რომ სხვა სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვისათვის მიზანშეწონილია მიმართოთ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაცია
საქმისწარმოების სამმართველო
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ნათია ლომთაძე